# სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების და განხორციელების წესი

1. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მიზანია უზრუნველყოს სტუდენტის მხარდაჭერა მისი განსხვავებული მოთხოვნების, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების დონის გათვალისწინებით.

2. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შეიძლება შემუშავდეს სტუდენტისათვის შემდეგი გარემოებების შემთხვევაში:

ა) საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტული სასწავლო გეგმით სტუდენტის მიერ სწავლის გაგრძელების შეუძლებლობა;

ბ) სტუდენტის განსხვავებული მოთხოვნების გათვალისწინება (გარე და შიდა მობილობის განხორციელებისას, სტუდენტის აკადემიური მომზადების განსხვავებული დონის არსებობისას);

გ) სასწავლო პროცესის ადაპტირებულ გარემოში განხორციელება (სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების წარმოშობისას).

3. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა აგრეთვე შეიძლება შემუშავდეს უნივერსიტეტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შემთხვევაში, რა დროსაც უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს პროგრამაზე არსებული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფა.

4. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა უნდა მოიცავდეს სწავლა/სწავლების, შეფასების სათანადო ფორმებსა და პირობებს.

5. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება ხორციელდება შემდეგი მოთხოვნების დაცვით:

ა) წელიწადში სტუდენტის დატვირთვა შეიძლება იყო 60 კრედიტზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არაუმეტეს 75 კრედიტისა;

ბ) შესაძლებელი უნდა იყოს სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული მოთხოვნების შესრულება, დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევა შესაბამისი შუალედური შეფასებებით და დასკვნითი გამოცდით.

6. სტუდენტმა ინდივიდუალური გეგმის შედგენის მოთხოვნით უნდა მიმართოს შესაბამისი პროგრამის განმახორციელებელ სკოლას.

7. სტუდენტის მიმართვის საფუძველზე და არსებული რესურსების გათვალისწინებით, სკოლის ადმინისტრაცია განიხილავს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების საკითხს და მიღებულ გადაწყვეტილებას აცნობებს სტუდენტს.

8. სტუდენტს შეუძლია მონაწილეობის მიღება სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესში.

9. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმასთან დაკავშირებით სტუდენტსა და სკოლის ადმინისტრაციას შორის ფორმდება შეთანხმება.